| არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან                      |          | (168)          | (631)          |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი</b> |          | <b>450</b>     | <b>1,081</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი</b> |          | <b>282</b>     | <b>450</b>     |

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი: გიორგი ჭრელაშვილი

ფინანსური მენეჯერი: გიორგი კობერიძე

13 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 58 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „მ.ჯ.“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 12 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ. N 5/7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 03/097). „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5 ა/4-2882 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 960 694.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან:

| აქციონერები                   | 2019, %     |
|-------------------------------|-------------|
| მალხაზ ისაკაძე /01023004568/  | 25,00 %     |
| კახა კობერიძე /01029004050/   | 25,00 %     |
| გიორგი კობერიძე /01031006812/ | 25,00 %     |
| პაატა ეზიეშვილი /35001007755/ | 25,00 %     |
| <b>საერთო ჯამში:</b>          | <b>100%</b> |

ამავე თარიღისთვის კომპანიის ხელმძღვანელ პირს წარმოადგენს გიორგი ჭრელაშვილი / 40001008269/.

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „კომპანია“ ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისთვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას. კომპანიის საკუთრებაში არსებული ერთი ობიექტი განთავსებულია ქალაქ ბათუმში, შემდეგ მისამართზე: ლეონიძის ქ. N 23.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: „კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას ძირითადად საქართველოში ეწევა. საქართველო განვითარებადი ბაზრისთვის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო

კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიციამომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

## 2. მომზადების საფუძველი:

### (ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### (ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ცალკე მდგომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შედგენილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. მისი ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ქვემოთ არის წარმოდგენილი.

### (გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

## **2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):**

### ***(დ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება***

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

### ***(ე) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მიმდინარე აქტივები მის მიმდინარე ვალდებულებებს 3, 440 ათასი ლარით აღემატება.



### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

#### **აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა, ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

#### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

##### **ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც „კომპანია“ ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****ბ) უცხოური ვალუტის გადაანგარიშება**

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| გაცვლითი კურსები:                                                      | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში |        |
|------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|--------|
|                                                                        | აშშ დოლარი                                                                  | ევრო   |
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს                                  | 2,8677                                                                      | 3,2095 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული წლისათვის | 2,8192                                                                      | 3,1553 |

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

**ჯგუფი****სასარგებლო მომსახურების ვადა**

|                                         |                  |
|-----------------------------------------|------------------|
| შენობა-ნაგებობები                       | 13-დან 20 წლამდე |
| მანქანა -დანადგარები და მძიმე ტექნიკა   | 5-დან 13 წლამდე  |
| საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | 3-დან 8 წლამდე   |
| სატრანსპორტო საშუალებები                | 7-დან 10 წლამდე  |

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს მინიშნებები, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი ცვლილებები ცვეთის მეთოდში, სასარგებლო ვადის, ან ნარჩენი ღირებულების შეფასებაში, მაშინ ცვეთის გადანგარიშება ხდება პროსპექტიულად იმისთვის, რომ შეფასდეს ახალი მოლოდინები აქტივის გამოყენების.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **არამატერიალური აქტივები**

„კომპანიის“ სარგებლობაში არსებულ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამები. კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე 15 წლის გაანგარიშებით.

#### **ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება**

##### **i) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასი.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი



### ***3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)***

ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

### ***ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება***

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

### ***ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში***

რეალური ღირებულების ფინანსური აქტივები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ და თავდაპირველად რეალური ღირებულებით მოგებაში, ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია გასაყიდად, თუ ისინი შეძენილია გასაყიდად, ან გადასაყიდად უახლოეს მომავალში.

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში, ან ზარალში გადაიტანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებად, მასთან დაკავშირებული ცვლილების საფინანსო შემოსავლად, ან ხარჯად აღიარებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას არ უღიარებია ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

### ***გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები***

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკს და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

#### **ii). ფინანსური ვალდებულებები**

##### **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველად აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

##### **ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

##### **სავაჭრო ვალდებულებები და სესხები**

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის, ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

#### **ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

#### **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

#### **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ის შემთხვევები, როდესაც ნეტო სარეალიზაციო ღირებულება სავარაუდოა, რომ ნაკლები იქნება თვითღირებულებაზე, ის შემთხვევებია, როდესაც ადგილი აქვს:

- პროდუქციის დასრულების ხარჯების, ან რეალიზაციის დანახარჯების ზრდას, ან გასაყიდი ფასის შემცირებას;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებას;
- მარაგის მოძველებას;

**3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

- კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, რომ პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ზარალით განხორციელდეს;
- წარმოებაში, ან შეძენისას დაშვებულ შეცდომებს.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

**შეძენის დანახარჯები შემდეგია:**

- შეძენის დანახარჯები მოიცავს შეძენის (ნასყიდობის) ფასს;
- საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა);
- სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს, სადაზღვევო დანახარჯებს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს;
- სავაჭრო დათმობების, ფასდათმობებისა და მსგავსი მუხლების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების ფორმულირებისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

### **3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

#### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ✓ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-4 შენიშვნა;
- ✓ სავაჭრო მოთხოვნები - მე-8 შენიშვნა;
- ✓ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში - მე-5 შენიშვნა.

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა ინსტრუმენტისათვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას,



### **3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია და დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები, საბანკო ანაზრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარუშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებით გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

### **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი საწყისი ღირებულება.

### **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

### **საწესდებო კაპიტალი**

არსებობს ცნებები, როგორიცაა:

- „გაცხადებული საწესდებო კაპიტალი“;
- „საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“- ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსებამდე საჭირო შენატანების მოცულობა.

მაგრამ არსებითია ის, რომ სამეწარმეო კორპორატიული სამართალი ცნობს გაცხადებულ, ანუ დათქმულ საწესდებო კაპიტალს, რომელსაც დამფუძნებლები განსაზღვრავენ. ამ გაცხადებული, ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსება შესაძლებელია როგორც მყისიერად, ისე პერმანენტულად. ამიტომაც არის ცნება „ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“. ამ დროს, სანამ არ იქნება შევსებული საწესდებო კაპიტალი დათქმულ ნიშნულამდე, ანუ გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობამდე, შეზღუდული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სამეწარმეო სუბიექტები (შპს, სს) კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შევსებული კაპიტალის ოდენობითა და დამფუძნებელ-პარტნიორები კი საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანების მოცულობით.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

#### **დივიდენდების განაწილება**

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს განაწილებული დივიდენდები.

#### **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რასაც პირი უხდიდა საგადასახადო ორგანოებს, ან იღებდა მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება, ან ზარალი განისაზღვრებოდა პროგნოზით, თუ ფინანსური ანგარიშგება მტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების აღრიცხვის მიზნით, გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საბალანსო ვალდებულებათა მეთოდით. საწყისი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები საწარმოთა გაერთიანებისგან განსხვავებულ ტრანზაქციაში აქტივის, ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას დროებით სხვაობებზე არ აღიარდებოდა, თუ ეს ტრანზაქცია, საწყისი აღიარებისას, არ მოქმედებდა არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები აისახებოდა საანგარიშგებო პერიოდის

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ბოლოს მოქმედი, ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როცა უნდა მომხდარიყო დროებითი სხვაობების გაუქმება და გადატანილი საგადასახადო ზარალის ათვისება.

გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისა და გადატანილი საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდო იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში გაუქმდებოდა და იარსებებდა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლებოდა გამოქვითვების გამოყენება.

გადატანილი საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები ურთიერთჩაითვლებოდა, როდესაც არსებობდა სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, პირს მიმდინარე საგადასახადო აქტივი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებიდან გამოექვითა, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულებები დაკავშირებული იყო ისეთ მოგების გადასახადთან, რომელსაც არიცხავდა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო ერთსა და იმავე დასაბეგრ ერთეულს, ან სხვადასხვა დასაბეგრ ერთეულებს, თუ არსებობდა განზრახვა, რომ მომხდარიყო ურთიერთჩათვლა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-ნი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. შედეგად, კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგებაში და ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს, ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას, ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. დაუყოვნებლივ იბეგრება ისეთ იურისდიქციებში მოქმედ პირებზე გადახდილი ავანსები, სადაც პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს, და ამგვარ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ასევე ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციულ საგადასახადო გარემოში რეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ავანსი სანაცვლოდ მიღებულ აქტივებსა თუ მომსახურებაზე მისაღები საგადასახადო ფასდაკლებების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება, ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების, ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის, ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და კოდექსით დადაგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.



### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის.

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბიუჯეტო აქტივის, ან საბიუჯეტო ვალდებულებების მუხლში.

#### **მიღებული სესხები**

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### **ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები**

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

#### **შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

#### **შემოსავლის აღიარება**

შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით გადასახადების, მოსაკრებლების და ფასდათმობების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

#### **ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც ასახავს კლიენტებისთვის ნაკისრი საქონლისა ან/და მომსახურების გადაცემას ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა ან/და მომსახურების სანაცვლოდ.

ვრცელდება ხუთეტაპიანი მოდელი მომხმარებელთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე:

- მომხმარებელთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ მომხმარებელს (კლიენტს) გადაეცემა.

#### **ხარჯის აღიარება**

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული, ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **გადახდილი ავანსები**

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

#### **დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

#### **იჯარა**

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდაგვარად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

### **ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ**

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

#### **4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას**

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება ანალოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

**საექვო ვალების რეზერვი.** კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სატატუსთან. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი



**4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას**

მონაცემები 6,403 ათასი ლარი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 6,489 ათასი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 8).

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

## **5. ახალი და შეცვლილი სტანდარტების დანერგვა**

**ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც დანერგილი აქვს კომპანიას პირველად 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში**

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და ფასს 9 - ფინანსური აქტივები.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

### **ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

### **კლასიფიკაცია და შეფასება**

ფასს 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს - მოდელი და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები “ძირითადი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს” დაუფარავ ძირ თანხაზე.

კომპანიის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში 2019 წლის 1 იანვარს და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

ფასს 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა კომპანიაზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, კომპანია კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

## **5. ახალი და შეცვლილი სტანდარტების დანერგვა (გაგრძელება)**

### **გაუფასურება**

ფასს 9-ის მიღებამ შეცვალა კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს 9 კომპანიისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

### **ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

2014 წლის მაისში გამოცემული და 2014 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 განსაზღვრავს ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

### **ფასიკ ინტერპრეტაცია 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად**

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არა ერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **ბასს 40 - ის ცვლილება - საინვესტიციო ქონება**

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის, სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განსაზღვრის ცვლილება არწარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. მოცემულ ცვლილებას

## **5. ახალი და შეცვლილი სტანდარტების დანერგვა (გაგრძელება)**

გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე.

### **ფასს (IFRS) 16 იჯარა**

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე.ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულების) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე, ასევე, ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახდელებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს, უფრო დეტალური განმარტებით შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

## 6. ძირითადი საშუალებები

|                                          | მიწა       | დაუმთავრ<br>ებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობა | მანქანა-<br>დანადგარ<br>ები | ოფისის<br>ინვენტარ<br>ი ტექნიკა<br>და ავეჯი | სატრანს<br>პორტო<br>საშუალო<br>ებები | სულ          |
|------------------------------------------|------------|---------------------------------|---------------------|-----------------------------|---------------------------------------------|--------------------------------------|--------------|
| <b>2018 წლის 01 იანვარი მდგომარეობით</b> | <b>308</b> | <b>18</b>                       | <b>1,467</b>        | <b>1,009</b>                | <b>211</b>                                  | <b>903</b>                           | <b>3,916</b> |
| შესყიდვები /კაპიტალიზაცია                | 72         | -                               | 30                  | 17                          | 84                                          | 46                                   | 249          |
| გაყიდვები/ჩამოწერა                       | -          | -                               | -                   | -                           | -                                           | (8)                                  | (8)          |
| დაგროვილი ცვეთა                          | -          | -                               | -                   | -                           | (3)                                         | (7)                                  | (10)         |
| <b>2019 წლის 1 იანვრის მდგომ.</b>        | <b>380</b> | <b>18</b>                       | <b>1,497</b>        | <b>1,026</b>                | <b>292</b>                                  | <b>934</b>                           | <b>4,147</b> |
| შესყიდვები /კაპიტალიზაცია                | -          | -                               | 2                   | 22                          | 7                                           | 39                                   | 70           |
| გადაფასების კორექტირება                  | -          | -                               | -                   | -                           | -                                           | 78                                   | 78           |
| გაყიდვები/ჩამოწერა                       | -          | -                               | -                   | (9)                         | (11)                                        | (15)                                 | (35)         |
| დაგროვილი ცვეთა                          | -          | -                               | -                   | (14)                        | -                                           | (22)                                 | (36)         |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომ.</b>     | <b>380</b> | <b>18</b>                       | <b>1,499</b>        | <b>1,025</b>                | <b>288</b>                                  | <b>1,014</b>                         | <b>4,223</b> |

|                                               |   |   |       |       |       |       |         |
|-----------------------------------------------|---|---|-------|-------|-------|-------|---------|
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>                   |   |   |       |       |       |       |         |
| <b>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>       | - | - | (639) | (499) | (175) | (531) | (1,844) |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი                   | - | - | (75)  | (93)  | (25)  | (78)  | (271)   |
| გაყიდვის მომენტში არსებული<br>დაგროვილი ცვეთა | - | - | -     | -     | 3     | 7     | 10      |
| გადაფასების კორექტირება                       | - | - | -     | -     | -     | -     | -       |
| გაუფასურება                                   | - | - | -     | -     | -     | -     | -       |
| <b>2019 წლის 1 იანვრის მდგომ.</b>             | - | - | (714) | (592) | (197) | (602) | (2,105) |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი                   | - | - | (45)  | (52)  | (17)  | (122) | (236)   |
| გაყიდვის მომენტში არსებული<br>დაგროვილი ცვეთა | - | - | -     | 14    | -     | 22    | 36      |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომ.</b>          | - | - | (759) | (630) | (214) | (702) | (2,305) |

|                                      |            |           |            |            |           |            |              |
|--------------------------------------|------------|-----------|------------|------------|-----------|------------|--------------|
| <b>საბალანსო ღირებულება</b>          |            |           |            |            |           |            |              |
| <b>2018 წლის 1 იანვრის მდგომ.</b>    | <b>308</b> | <b>18</b> | <b>828</b> | <b>510</b> | <b>35</b> | <b>372</b> | <b>2,071</b> |
| <b>2019 წლის 1 იანვრის მდგომ.</b>    | <b>380</b> | <b>18</b> | <b>783</b> | <b>434</b> | <b>95</b> | <b>332</b> | <b>2,041</b> |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომ.</b> | <b>380</b> | <b>18</b> | <b>740</b> | <b>395</b> | <b>74</b> | <b>312</b> | <b>1,918</b> |

## 7. მარაგები

|                            | ფულადი ერთეული-ათასი ლარი |                   |
|----------------------------|---------------------------|-------------------|
|                            | 31 დეკემბერი 2019         | 31 დეკემბერი 2018 |
| არმატურა                   | 968                       | 1,990             |
| კვადრატული მილი            | 581                       | 962               |
| შველერი                    | 179                       | 56                |
| კუთხოვანა                  | 253                       | 404               |
| ფოლადის ფურცელი            | 17                        | 42                |
| ორტესებრი კოჭი             | 98                        | 205               |
| გლინულა                    | 107                       | 377               |
| მილი                       | 266                       | 411               |
| ზოლოვანი                   | 49                        | 86                |
| მინა                       | 3                         | 3                 |
| ლამინირებული ფანერა        | 21                        | 100               |
| ქვიშა, ღორღი               | 8                         | -                 |
| რკინა მასალა               | 42                        | -                 |
| ალუმინის კედელი „სენდვიჩი“ | -                         | 39                |
| მავთული                    | 2                         | -                 |
| სხვა                       | 221                       | 127               |
| <b>სულ მარაგები</b>        | <b>2,815</b>              | <b>4,802</b>      |

## 8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                          | ფულადი ერთეული-ათასი ლარი |                   |
|------------------------------------------|---------------------------|-------------------|
|                                          | 31 დეკემბერი 2019         | 31 დეკემბერი 2018 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 8,883                     | 12,459            |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები       | (6,403)                   | (6,489)           |
| მისაღები პროცენტები                      | 1                         | 1                 |
| სხვა დარიცხული მოთხოვნები                | 6                         | 6                 |
| <b>სულ მოთხოვნები</b>                    | <b>2,487</b>              | <b>5,977</b>      |



## 8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|      | არც<br>ვადაგადა-<br>ცილებული<br>და არც<br>გაუფასუ-<br>რებული | ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული |         |            |             |         |          |
|------|--------------------------------------------------------------|--------------------------------------------|---------|------------|-------------|---------|----------|
|      |                                                              | სულ                                        | <60 დღე | <60-90 დღე | <90-180 დღე | >180დღე | >360 დღე |
| 2018 | -                                                            | 5,970                                      | 4,314   | 581        | 141         | 278     | 656      |
| 2019 | -                                                            | 2,480                                      | 1,224   | 227        | 213         | 181     | 635      |

## 9. გაცემული ავანსები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                        | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები | 3,774             | 753               |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები           | 37                | 36                |
| <b>სულ ავანსები</b>                    | <b>3,811</b>      | <b>789</b>        |

## 10. საბიუჯეტო აქტივი/ვალდებულება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                         | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|-----------------------------------------|-------------------|-------------------|
| გადახდილი დღგ                           | 552               | 258               |
| გადასახდელი დღგ                         | -                 | -                 |
| <b>სულ საბიუჯეტო აქტივი/გადასახდელი</b> | <b>552</b>        | <b>258</b>        |

### 10. საბიუჯეტო აქტივი /ვალდებულება (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

### 11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                         | ფულადი ერთეული-ათასი ლარი |                 |
|-----------------------------------------|---------------------------|-----------------|
|                                         | 31დეკემბერი2019           | 31დეკემბერი2018 |
| ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 8                         | 61              |
| ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში  | 12                        | 132             |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში             | 262                       | 257             |
| <b>საერთო ჯამში:</b>                    | <b>282</b>                | <b>450</b>      |

### 12. კაპიტალი

ა) **საწესდებო კაპიტალი** - საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 ათას ლარს, რომელიც თანაბრად იყოფა ოთხ აქციონერს შორის.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბ) **დივიდენდები** - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის შესაბამისად.

2019 წელს „კომპანიას“ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი არ აქვს.

### 13. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულებები შემდეგია:

|                                      | ფულადი ერთეული-ათასი ლარი |                 |
|--------------------------------------|---------------------------|-----------------|
|                                      | 31დეკემბერი2019           | 31დეკემბერი2018 |
| ფინანსური ინსტიტუტიდან აღებული სესხი | 4,207                     | 4,785           |
| გადასახდელი პროცენტი                 | 9                         |                 |
| <b>ჯამში:</b>                        | <b>4,216</b>              | <b>4,785</b>    |

|                                  | საპროცენტო<br>განაკვეთი | დაფარვის<br>ვადა | ვალუტა | 2018             |
|----------------------------------|-------------------------|------------------|--------|------------------|
| სესხი ბანკიდან N 10345/ 9895721  | 8%                      | 12.09.2021       | USD    | 4,497 GEL        |
| სესხი ბანკიდან N 10345/ 10218679 | 8%                      | 29.02.2019       | USD    | 288 GEL          |
|                                  |                         |                  |        | <b>4,785 GEL</b> |

|                                  | საპროცენტო<br>განაკვეთი | დაფარვის<br>ვადა | ვალუტა | 2019             |
|----------------------------------|-------------------------|------------------|--------|------------------|
| სესხი ბანკიდან N 10345/ 10637736 | 8%                      | 15.09.2022       | USD    | 3,707 GEL        |
| სესხი ბანკიდან N 10345/ 10218679 | 8%                      | 01.10.2020       | USD    | 500 GEL          |
|                                  |                         |                  |        | <b>4,207 GEL</b> |

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი საშუალებების ფინანსირება.

**წმინდა სესხი.** ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წმინდა სესხის ანალიზი და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებებში შედის ის პუნქტები, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში შესულია ფინანსურ საქმიანობაში.

### 13. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულება (გაგრძელება)

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                                         | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>1 იანვარი</b>                                        | <b>4,785</b>      | <b>8,182</b>      |
| დამატება წლის განმავლობაში                              | 18,570            | 37,057            |
| საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში                      | 539               | 639               |
| საპროცენტო გადახდები                                    | (530)             | (639)             |
| ძირითადი თანხის გადახდები                               | (19,624)          | (40,855)          |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმ. | 476               | 401               |
| <b>31 დეკემბერი</b>                                     | <b>4,216</b>      | <b>4,785</b>      |

#### საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულები. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

| ფინანსური შეზღუდვები                                      | ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები   |
|-----------------------------------------------------------|---------------------------------------|
| მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან | NW Capital არანაკლებ 1,2 მლნ დოლარისა |
| Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი    | 1,2 დონეზე                            |
| დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანების ნაშთი     | არ უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს.    |

კომპანია გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქტივები.

### 13. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულება (გაგრძელება)

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში თვეში 50,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით.
- სესხის მოქმედების პერიოდზე მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია საბანკო ბრუნვები სრულად აწარმოოს სს თიბისი ბანკში.
- კომპანიას უფლება არა აქვს უცხო პირზე გასცეს სესხები.
- მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად წარმოადგინოს დეტალური ფინანსური ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით კომპანიას არ ჰქონია შეუსაბამობა.

### 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                 | ფულადი ერთეული-ათასი ლარი |                 |
|---------------------------------|---------------------------|-----------------|
|                                 | 31დეკემბერი2019           | 31დეკემბერი2018 |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | 466                       | 602             |
| სულ ვალდებულება                 | <b>466</b>                | <b>602</b>      |

### 15. მიღებული ავანსები

კომპანია მომხმარებლებისგან წინასწარ იღებს ავანსად თანხებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან დღე-ით დასაბეგრი ოპერაცია გახდა. მიღებული ავანსები შეიცავს 18% დღე-ს, რომელიც უნდა გაიქვითოს გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისას.

## 16. შემოსავალი რეალიზაცია/მომსახურებიდან

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                           | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სამშენებლო მასალები                       | 47,151            | 56,293            |
| შემოსავალი ტრანსპორტირებიდან              | 58                | 104               |
| შემოსავალი მზა პროდუქციიდან               | 91                | 180               |
| შემოსავალი რკინის მასალების წარმოებიდან   | -                 | 147               |
| შემოსავალი მომსახურებიდან                 | 345               | 385               |
| შემოსავალი იჯარიდან                       | 131               | 101               |
| სხვა შემოსავალი რეალიზაცია/მომსახურებიდან | 12                | 33                |
| <b>საერთო ჯამში</b>                       | <b>47,788</b>     | <b>57,243</b>     |

## 17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                            | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სამშენებლო მასალების რ.პ.თ.                | (43,921)          | (53,910)          |
| ბეტონის დასამზადებელი მასალები             | (26)              | (24)              |
| რკინის ნაკეთობის დასამზადებელი მასალები    | -                 | (144)             |
| შეძენილი მასალა წარმოებითვის               | (49)              | (14)              |
| სხვა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (29)              | (63)              |
| <b>საერთო ჯამში</b>                        | <b>(44,025)</b>   | <b>(54,155)</b>   |

## 18. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                      | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------|-------------------|-------------------|
| შრომის ანაზღაურება   | (944)             | (940)             |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (238)             | (275)             |
| რემონტის ხარჯები     | (116)             | (151)             |
| ა/მ დაზღვევის ხარჯი  | (4)               | -                 |
| მივლინების ხარჯები   | (14)              | (5)               |
| სხვა ხარჯები         | (16)              | (16)              |
| <b>საერთო ჯამში</b>  | <b>(1,332)</b>    | <b>(1,387)</b>    |

## 19. საოპერაციო ხარჯები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                       | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| მომსახურების ხარჯი                    | (3)               | -                 |
| კომუნალური ხარჯი                      | (29)              | (27)              |
| სატრანსპორტო ხარჯი                    | (36)              | (96)              |
| დაცვის მომსახურება                    | (53)              | (18)              |
| საკომუნიკაციო ხარჯი                   | (38)              | (46)              |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი        | (7)               | (19)              |
| საიჯარო ხარჯი                         | (18)              | (13)              |
| საკონსულტაციო ხარჯი                   | (48)              | (51)              |
| სხვა ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა | (32)              | (26)              |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                 | (30)              | (36)              |
| <b>საერთო ჯამში</b>                   | <b>(294)</b>      | <b>(332)</b>      |

## 20. მიწოდების ხარჯები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                      | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | (209)             | (228)             |
| სხვა მიწოდების ხარჯი                 | (29)              | (27)              |
| <b>საერთო ჯამში</b>                  | <b>(238)</b>      | <b>(255)</b>      |

## 21. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                              | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული შემოსავალი | 258               | 53                |
| ძირ. საშუალებით გამოწვეული შემოსავალი        | 141               | 16                |
| ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება     | (49)              | (9)               |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                | 45                | 13                |
| <b>საერთო ჯამში</b>                          | <b>395</b>        | <b>73</b>         |



## 22. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

| ფულადი ერთეული-ათასი ლარი                             | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|-------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>                           |                   |                   |
| საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე               | 2                 | 3                 |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება             | 442               | 793               |
| <b>სულ ფინანსური შემოსავალი:</b>                      | <b>444</b>        | <b>796</b>        |
| <b>ფინანსური ხარჯი</b>                                |                   |                   |
| ბანკისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | (538)             | (639)             |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი             | (986)             | (1,311)           |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი:</b>                           | <b>(1,524)</b>    | <b>(1,950)</b>    |
| <b>წმინდა ფინანსური ხარჯი/შემოსავალი</b>              | <b>(1,080)</b>    | <b>(1,154)</b>    |

## 23. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

**სამართლებრივი პროცედურები.** საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

## 24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

### ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|                                         | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|-----------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |                   |                   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები   | 282               | 450               |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 2,487             | 5,977             |
| მიმდინარე სასესხო მოთხოვნა              | -                 | 192               |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>2,769</b>      | <b>6,619</b>      |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 466               | 602               |
| სასესხო ვალდებულება                     | 4,216             | 4,785             |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>4,682</b>      | <b>5,387</b>      |

### კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

## **24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**

### **ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (**საპროცენტო რისკი**) და ვალუტის კურსის (**სავალუტო რისკი**) ცვლილებების შედეგად.

#### **➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

#### **➤ სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

## 24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | ლარი         | აშშ დოლარი   | 31.12.2019   |
|----------------------------------------|--------------|--------------|--------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>              |              |              |              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები  | 282          | -            | 282          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 2,487        | -            | 2,487        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>          | <b>2,769</b> | <b>-</b>     | <b>2,769</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>         |              |              |              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 323          | 143          | 466          |
| სასესხო ვალდებულება                    | 9            | 4,207        | 4,216        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>     | <b>332</b>   | <b>4,350</b> | <b>4,682</b> |

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

### საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ

## 24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

### საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულები. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

| ფინანსური შეზღუდვები                                      | ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები   |
|-----------------------------------------------------------|---------------------------------------|
| მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან | NW Capital არანაკლებ 1,2 მლნ დოლარისა |
| Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი    | 1,2 დონეზე                            |
| დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანების ნაშთი     | არ უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს.    |

კომპანია გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აილოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქტივები.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში თვეში 50,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით.
- სესხის მოქმედების პერიოდზე მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია საბანკო ბრუნვები სრულად აწარმოოს სს თიბისი ბანკში.
- კომპანიას უფლება არა აქვს უცხო პირზე გასცეს სესხები.
- მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად წარმოადგინოს დეტალური ფინანსური ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით კომპანიას არ ჰქონია შეუსაბამობა.

## 24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

### სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის“ დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

„კომპანიის“ მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან“ და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. „კომპანია“ არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

„კომპანია“ განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კვლავ ამოღებადია, განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოხდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.

## 24. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

ფულადი ერთეული - ათასი ლარი

|                                | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|--------------------------------|-------------------|-------------------|
| ნაშთი წლის დასაწყისში          | 6,489             | 6,541             |
| აღიარებული გაუფასურების ზარალი | 173               | -                 |
| ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა | (257)             | (52)              |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>        | <b>6,403</b>      | <b>6,489</b>      |

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 1 წლამდე     | 1 დან 5<br>წლამდე | 31.12.2019   |
|------------------------------------|--------------|-------------------|--------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |              |                   |              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 466          | -                 | 466          |
| სასესხო ვალდებულება                | 1,625        | 2,591             | 4,216        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>2,091</b> | <b>2,591</b>      | <b>4,682</b> |



## 25. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

### ფულადი ერთეული-ქართული ლარი

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები           | 31 დეკემბერი 2019 |
|--------------------------------------------------------------------|-------------------|
| შრომის ანაზღაურება                                                 | -                 |
| გაყიდვები                                                          | 37                |
| სესხზე გადასახდელი პროცენტი                                        | 8                 |
| <b>სულ:</b>                                                        | <b>45</b>         |
| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული | 31 დეკემბერი 2019 |
| შრომის ანაზღაურება                                                 | 214               |
| გაყიდვები                                                          | 10,930            |
| საპროცენტო ხარჯი                                                   | 40                |
| სასესხო ვალდებულება                                                | 824               |
| სასესხო მოთხოვნები                                                 | 285               |
| საიჯარო შემოსავალი                                                 | 6                 |
| <b>სულ:</b>                                                        | <b>12,299</b>     |

## **26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე დაფარა სესხის ნაწილი - 955 ათასი ლარის.

**COVID-19.** 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმის, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

*შპს მ.ჯ. - ანგარიში*

*კომპანიის ბიზნეს მიმოხილვა*

*მენეჯმენტის ანგარაში - ბიზნესის მიმოხილვა 2019*

*1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა*

შპს „მ.ჯ.“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 12 აპრილს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „კომპანია“ ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისთვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას.

2019 წელს კომპანიის შემოსავლებმა შეადგინა 47,788 ათასი ლარი, რაც დაახლოებით 20%-ით ნაკლებია 2018 წლის შემოსავლებზე. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანი შემოსავლის 98 % გენერირდება სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგებამ შეადგინა 1,040 ათასი ლარი, რაც არსებითად მეტია 2018 წლის მოგებაზე, ასეთი დიდი სხვაობა გამოწვეულია არასაოპერაციო შემოსავლის ზრდით და ასევე იმით რომ 2019 წელს მოხდა ჩამოწერილი უიმედო დებიტორული დავალიანების ამოღება 258 ათასი ლარის ოდენობით.

*2. კომპანიის სამომავლო გეგმები*

2019 წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, მიმდინარეობს განვითარების გეგმების შემუშავება.

*3. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები*

2019 წელს კომპანიას კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

#### 4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს, თუ არ ჩავთვლით მცირე ზომის სარეალიზაციო პუნქტს (საწყობს) ქ. ბათუმში.

#### 5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ძირითადი ფინანსური ინდიკატორების ანალიზი:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

|   |                             | 2018   | 2018   | პრიორიტეტის მიხედვით     |
|---|-----------------------------|--------|--------|--------------------------|
| 1 | შემოსავალი                  | 47,788 | 57,243 | მოგების მარჟის შემცირება |
| 2 | შედეგი საოპერაციო მოგებიდან | 1,040  | 33     |                          |

- I. ურთიერთობა თანამშრომლებთან. კომპანიაში დასაქმებულია 74 ადამიანი. კომპანიას გააჩნია მოწესრიგებული დაქირავების პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები.
- II. ურთიერთობა მომწოდებელთან და კლიენტებთან. კომპანიას მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით.
- III. ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, კომპანიაზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვითცნობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტერმინებს.

#### 6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2019 წელს კომპანიას საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

**7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტება**

- ბაზარზე წამყვან პოზიციასა და ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:
  - მომსახურება და კლიენტების კმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა კვალიფიკაციას, რომელთაგან თითოეული კარგად მომზადებული პროფესიონალია.
  - საოპერაციო საქმიანობის მართვა - კომპანიას დარგში მუშაობის საკმარისი განოცდილება აქვს და 10%-ით ჩართულია ბიზნესის ყოველდღიურ მართვაში, რაც მას საშუალებას აძლევს ინფორმირებული და გახსნილი იყოს ბიზნესში ნებისმიერი ცვლილების მიმართ.
  - ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია - კომპანიამ მოახერხა საქართველოს ბაზარზე ძლიერი ბრენდული სახელის დამკვიდრება. ეს სახელი აღიქმება როგორც ხარისხის, პროფეზიონალიზმის და სათანადო მზრუნველობის სინონიმი.

**8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.**

- **საკრედიტო რისკი.** კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, კლიენტებისთვის მომსახურების მიწოდებამდე.
- **ლიკვიდობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წამოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანიის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან კომპანიის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება.  
ლიკვიდობის რისკის ფრთხილი მართვა გულისხმობს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფულის ქონასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების რაოდენობის მეშვეობით.  
ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღება შეუფარებლად მიმდინარეობს.



**9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა**

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.  
კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.
- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **საბაზრო რისკი.** კომპანიაზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გაოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობისას.
- **საპროცენტო განაკვეთთა რისკი.** კომპანიაზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

დირექტორი: გიორგი ჭრელაშვილი



თარიღი: 25-08-2020 წ.